ცნობის ფურცელი

XI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 8 დეკემბერი № 1664

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

ნინო ლაზარეს ასული ნაცვლიშვილი და თებრონიკა ლაზარეს ასული ჭრელაშვილისა თავიანთის შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შვილი პირველისა და დისწული მეორესი მიწის მზომელი

დავით ალექსანდრეს ძე ნაცვლიშვილი

გარდაიცვალა სოხუმში და დასაფლავებულ იქმნა იქვე წმ. გიორგის ეკლესიაში.

წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად დანიშნულია კვირას, 9 ამ დეკემბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში, ტფილისში. (2—1)

ქართული თეატრი

კვირას, 9 დეკემბერს 1901 წლის

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« **დაკლებულის ფასებით** »

I

პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქ. აკაკი წერეთლისა.

II

დუელი

ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდან ნ. გალუსტოვისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, ნებიერიძისა, მდივანი, ლეჟავა; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, ქელიძე, სარჯველაძე, ჯავახია და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია.**

მზადდება **„უცნაური ხაფანგი“** და **„უშიშარი რაინდი“.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

კბილის საექიმო კაბინეტი ელისაბედ როჟანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

იღებს ავადმყოფებს. ბულვარის პირდაპირ, სახლი აკოფოვისა. (5—203—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე

გძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ზაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

1901 წლის 22 დეკემბერს, „ტფილისის საკრებულოს“ დარბაზში გამართულ იქმნება **წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ**

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქმნება ცეკვა ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული **სარაჯიშვილისა.** დაწვრილებითი ცნობა თავის დროზე გამოცხადდება. (უ. 3—1)

ექიმი

ქ. მ. ელიოზიშვილი

იღებს ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

აუცილებელი მოვალეობა

ძველს საბერძნეთში ადამიანის პიროვნებას განსაზღვრული და შეზღუდული ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში. კაცი ითვლებოდა საზოგადოების ნაწილად, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი იყო საშუალება და იარაღი საზოგადოების კეთილდღეობისა. ამისათვის მას იმდენად აფასებდნენ, რამდენადაც იგი სასარგებლო და მომქმედი იყო საზოგადოებისათვის. და ამიტომაც იყო, რომ ყოველი ნორჩი, ავადმყოფი და ბებერი შეუბრალებლად იყო მოკლებული საზოგადოების მფარველობას: სუსტ ბავშვებს და დაბერებულ კაცებს კლდის სიმაღლიდან უფსკრულში აგდებდნენ, მათი მოვლის და ზრუნვის თავი არავის ჰქონდა. ამგვარი საქციელი უზნეო და ბოროტ საქციელად არ ითვლებოდა. იმ დროინდელი ზნეობრივი შეხედულება ამართლებდა ამნაირ ბოროტებას, რადგან, ძველ ხალხთა აზრით, საზოგადოების კეთილდღეობა იყო უმთავრესი მიზანი, ხოლო საზოგადოების წევრები უპირადო საშუალება და ის იარაღი, რომლის უკუგდება და მიტოვება იყო საჭირო ყოველთვის, როდესაც კი ეს იარაღი გამოუსადეგარი, დაჟანგებული და დამცხეული გამოდგებოდა.

ძველისა და ახალი დროის განსხვავება, სხვათა შორის, იმაშიაც გამოისახება, რომ ძირიანად შეიცვალა „საზოგადოების“ ბატონობა კაცზე, ადამიანის პიროვნებაზე. ახალ დროში კაცს დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიეცა; კაცის იარაღად ხმარება სასირცხვილოდ მიაჩნიათ და ჩვენი დროის ცდა იმაზეა მიმართული, რათა გაფართოვდეს კერძო კაცის მოქმედების ასპარეზი, პატივსადები იყოს ადამიანის სიცოცხლე. ჩვენი დროის შეხედულებით საზოგადოება და ყოველი მისი დაწესებულება კაცისათვის, მის კეთილ-დღეობისათვის არის დაწესებული და არა კაცი უპირადო საზოგადოების და უსულო დაწესებულების გამტკიცებისათვის. მართალია, ეს აზრი ჯერ არ არის სავსებით განხორციელებული ცხოვრებაში, მართალია, ჩვენ დროშიაც ბევრჯელ და ბევრგან იჩაგრება ადამიანის პიროვნება, ხოლო, ეჭვ გარეშეა, ჩვენი ცხოვრების ლტოლვილება დაჩაგვრის გაუქმებისაკენ და ადამიანის პიროვნების აღდგენისაკენ მიისწრაფვის.

მართლაც, დავაკვირდეთ საგანს. ჩვენ დროში ბავშვს, დაბადებისთანავე, უწევთ მფარველობას. ჩვენ აღარ დავდევთ იმას, მახინჯია თუ უძლური ეს ბავშვი. ჩვენთვის სავალდებულოა მახინჯის და სუსტის შენახვა და დაფარვა ისე, როგორც ლამაზის და ჯან-საღისა. ჩვენმა დრომ გამოიგონა ათასნაირი საშუალება ავადმყოფობასთან საბრძოლველად და დასნეულებულ კაცს ჩვენ ყურადღებით და სიყვარულით ვეპყრობით. ზნეობრივ მოვალეობათა ვსთვლით დახმარება აღმოვუჩინოთ, დავიცვათ და შევინახოთ არამც თუ ბავშვი, ავადმყოფი, თვით დაბერებული კაციც, რომლისაგანაც აღარ მოველით არავითარ გამორჩენას, რომელიც შეიქმნა სრულიად გამოუსადეგარი საზოგადოებისათვის. ყველა ამისათვის ჩვენს დროში ხსნიან ბავშვებისათვის და ბებრებისათვის თავშესაფარს და ავათმყოფებისათვის სამკურნალოებს. და სწორეთ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, როდესაც დაუძლურებულ ნამსახურ კაცს აჯილდოვებენ, შემწეობას აძლევენ სიბერის დაბოლოვებისათვის. ჩვენ დროში, თითქმის ყველგან, ყოველგვარ შრომის ნაწილში გატარებულია ეს აზრი. ჯარის-კაცს, მოხელეს, საზოგადო მოღვაწეს, უმსუბუქებენ სიბერეს. მუშა კაცსაც მიაქციეს ყურადღება. ევროპის კანონმდებლობაში თან-და-თან ატარებენ მუშის დაზღვევის და მფარველობის აზრს. თანამედროვე ცხოვრებაში ნელ-ნელა იდგამს ფეხს ადამიანის პიროვნების დაცვის (ბავშვია იგი, ავადმყოფი თუ ბებერი) და მფარველობის საჭიროება. ახალი დროის აზრი თან-და-თან იმარჯვებს და ძველ საბერძნეთის შეხედულება, დროთა მსვლელობაში, ჰაღარა გარეულ წარსულში იმალება და ჰქრება.

დიაღ, ყველგან ჰფიქრობენ და ზრუნავენ საზოგადოების არამც თუ სასარგებლო, უსარგებლო და უმნიშვნელო წევრებზედაც, ხოლო ჩვენამდე ჯერ-ჯერობით ამ აზრს არ მოუღწევია. ამ წერილში ჩვენ ერთი განსაზღვრული მოვლენა გვსურს მოვაგონოთ მკითხველს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ბავშვებზე, ავადმყოფებზე და დაბერებულ „მოღვაწეებზე“ საზოგადოთ. ჩვენ გვაქვს სახეში ერთი ნაწილი ჩვენის მოღვაწეებისა. გვინდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ იმ საზოგადო „მოღვაწეს“, რომელსაც „არტისტის“ სახელი ჰქვია, რომელიც ჩვენს ხელოვნებას და ხალხის გაკეთილშობილებას ემსახურება, დახმარება უნდა აღმოუჩინოთ მაშინ, როდესაც, ღონე მიხდილს, დაუძლურებულს და დაბერებულს, მას შრომის უნარი აღარ ექნება და მარტოობაში, უსახსრო, უსახლ-კარო, ულუკმა-პურო დარჩება. დავუფიქრდეთ ჩვენებურ არტისტის მდგომარეობას. ოცი, ოც-და-ათი წელიწადი მუშაობს და შრომობს იგი თეატრში. ხან გვაცინებს, ხან გვატირებს, ხან გვაღელვებს, იმედებს და ოცნებას გვიბადავს და ყოველის საშუალებით აფრთხობს ჩვენს მცონარებას, ამუშავებს აზრს, გვასიამოვნებს და გვატკბობს. ოცდა-ათი, ორმოცის წლის განმავლობაში არტისტი მუდმივ იმის ცდაშია, რომ სხვისის სიხარულით გაიხაროს და სხვისის მწუხარებით და ტანჯვით იტანჯოს. იმისს პირად მწუხარებას, დაღონებას და დარდს არ უნდა ვხედავდეთ. არტისტი სულ იმის ცდაშია, რომ დაივიწყოს თავისი ვინაობა, თავისი საკუთარი სულის კვეთება და გადიქცეს სხვის გულის-თქმათა მოამბედ. ოც-და-ათ, ორმოცი წლის განმავლობაში ის ან მაყურებლის წინაშე ლაპარაკობს, იცინის და ტირის, ან კიდევ ამ ლაპარაკის, სიცილის და ტირილის მზადებაშია. ამასობაში ბერდება კაცი, ჰაღარა ერევა, ხმა ეკარგება, კბილები და თმა უცვივა. ის წელში ველარ იმართება, მის თვალებში აღარ ღვივის ნაპერწკალი; ხელი, ფეხი და ხმა აღარ ემორჩილება. თუ თვითონ არ გაეცალა სცენას, სხვები გაისტუმრებენ. ძველმა ახალს უნდა დაუთმოს ადგილი, ხოლო იმ ახალგაზდასაც, რომელსაც ჯერ კიდევ ძარღვებში სისხლი უდუღს და რომლის თვალში ყმაწვილობის და სიცოცხლის ცეცხლი არ ჩამქრალა, ისვე მომავალი მოელის: ისიც დარჩება მარტო, ყოველის მიერ დავიწყებული, ალალ-ბედზე მინებებული დაბერებული არსება...

არა, ახალ აზრს, მოვალეობის და დახმარების აზრს, ჯერ კიდევ არ მოუკიდია ფესვი ჩვენს უმეცნარეო საზოგადოებრივ ნიადაგზედ.

ყველა ეს იყოს ხვალინდელ დრამატიულ საზოგადოების კრების საყურადღებოდ.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

6 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოეცხადა უმაღლესი ბრძანება დედოფალი მარიამის დაწესებულებათა საპეკუნო რჩევას: „გვსურს რა აღვნიშნოთ ბედნიერი მოვლენა ქორწინებისა უსაყვარლესი დისა ჩვენისა ოლგა ალექსანდრეს ასულისა საზოგადო სასარგებლო საქმით, ჩვენ ვსცანით სასიკეთოდ დაარსება ქალაქ ვორონეჟში და გადაცემა მისი უმაღლესობის უავგუსტოეს სამზრუნველოს ქვეშე კეთილშობილ ქალთა ოლგას ინსტიტუტისა. მთავარი აზრი ამ სასწავლებლის დაარსებისა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს 250 უფასო და 60 თავის ხარჯზედ მოსწავლე ქალები, მდგომარეობს იმაში, რომ აღიზარდნენ ვორონეჟის და სხვა ევროპის რუსეთის შუა და სამხრეთ გუბერნიების თავად-აზნაურთა ქალები, უმეტეს ნაწილად ობლები და ნახევარ-ობლები, რომ მიეცეთ მათ საშუალება—იყვნენ ოჯახის სასარგებლო წევრნი, და რომ მათ, გარდა საზოგადო განათლების ინსტიტუტის კურსისა, შეისწავლონ პრაქტიკული ცოდნაც, რომელიც უზრუნველ ჰყოფდეს ინსტიტუტის მოწაფედ ნამყოფთ, იშოვონ პატიოსანი ლუკმა, უკეთუ მათ მოუხდებათ თავისი შრომით ცხოვრება. **ნიკოლოზ**“.

გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი: გენერალ-ადიუტანტის დრაგომიროვის სახელზედ, რომელსაც ებოძა ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი; სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ რეზვის სახელზედ,

რომელსაც ებოძა ბრილიანტებით მოჭედილი სათუთუნე პორტრეტით.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: ვლადიმირის პირველი ხარისხის ორდენი ებოძათ: პეტერბურგის ციხის კომენდანტს გენერალ ელისს და გენერალ ჩემერზინს; ორივენი ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით ებოძათ: გენერლებს: დუკმასოვს, სტოლეტოვს და დობტუროვს; ალექსანდრე ნეველის ორდენი ებოძათ: გენერლებს-გოლოვინს, სემენოვს და პესტუჟევ-რიუმინს.

ებოძათ: ხერსონის გუბერნატორს თავად ობოლენსკის სასახლის შტალმეისტრობა; სტატსკი-სოვეტნიკს ზილერს, პოდოლის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, და გრაფს ალექსანდრე ლიდერს-ვეიმარს, პეტრაკოვის ვიცე-გუბერნატორს კამერგერობა.

ებოძათ: ოდესის ოლქის ჯართა უფროსის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს კაულბარსს—კავალერიის გენერლობა; გენერალ-ლეიტენანტს პლაკსინს ინფანტერიის გენერლობა; 17 კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს ბილდერლინგს კავალერიის გენერლობა; გენერალ-მაიორებს გენერალ-ლეიტენანტობა: სოჩაკოვის ციხის კომენდანტს მაკეევს, ციმბირის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს შჩერბოვიჩს-ვეჩორას, სახალინის კუნძულების სამხედრო გუბერნატორს ლიაპუნოვს, სამხედრო გუბერნატორს ტურგაის მხრისა ლომაჩევსკის, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსთან მყოფს, განსაკუთრებულ მინდობილებისათვის, გენერალ ჩოლაყაშვილს, მიხეილის სიმაგრის კომენდანტს სოკოლოვსკის, არტილერიის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს იზმაილოვს, 43 დივიზიის უფროსს ჩეკმარიოვს, 17 არტილერიის კორპუსის უფროსს ბობრიკოვს, 18 დივიზიის კომანდირს სმირნოვს, კიევის გუბერნატორს ტრეპოვს, 4 დივიზიის უფროსს შატილოვს, გენერალ-ფელცეხმეისტერთან მყოფს განსაკუთრებულ მინდობილებათათვის—ივანოვს, უსტ-დვინის ციხის კომენდანტს რედკინს, 10 კავალერიის დივიზიის უფროსს ბიბიკოვს და გვარდიის კორპუსის არტილერიის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს უტკევიჩს.

ორდენები ებოძათ: წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხისა ლეიბ-გვარდიის ცხენოსან გრენადერთა პოლკის უფროსს და მთავარ მართველს სახელმწიფო ცხენის მოშენების დაწესებულებისას მისი უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორს დიდ მთავარს დიმიტრი კონსტანტინეს ძეს; წმ. ვლადიმირის პირველის ხარისხისა: მოსკოვის ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწეს გენერალ-ადიუტანტს დანილოვს; ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა: კავალერიის გენერალს სირუკოვს; ალექსანდრე ნეველის ორდენი: პირველი კორპუსის უფროსს ბარონ მეინსდორფს. ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩაირიცხა გვარდიის ეკიპაჟში.

ებოძათ ვიცე-ადმირალებს ადმირალობა: კაზნაკოვს, ტირტოვს, კონტრ-ადმირალებს ვიცე-ადმირალობა: სიდენერს, რეენოვს და ბირილევს. ებოძათ დეისტ. სტატ. სოვეტნიკობა სტატსკი სოვეტნიკებს: გროდნოს გუბერნატორს თავ. ურუსოვს, სტავროპოლის ვიცე-გუბერნატორს ლადიჟენსკის, ტომსკისას ბარონ დელვიგს და გროდნოსას ლიშინს.

ბრძანება სამხედრო უწყებისადმი: „დაუვიწყარი მზრუნველობისა გამო ჯარის კაცთა ოჯახების საჭიროებაზე, რომელთაც თავის სისხლით განამტკიცეს თავისი ერთგულება ტახტისა და მამულისადმი, ხელმწიფემ კეთილ ინება გაიღოს ახალი წყალობა, რისთვისაც ბძანა, მიეცეს ერთხნობით შემწეობა ოჯახებს ჯარის კაცებისას, რომელნიც დახოცეს და ან დაიხოცნენ ჭრილობის გამო, ან სრულიად დაიკარგნენ ჩინელებთან ომის დროს შორეულ აღმოსავლეთში, ამ საგანზე არსებულ დადგენილებათა მიხედვით, ეს ხარჯი უნდა ჩაირიცხოს სამხედრო თანხაში“.—ტაინი სოვეტნიკს სკლიფასოვსკის ებოძა თეთრი არწივის ორდენი.

ლონდონი. სმიტფილდის ცენტრალური ბაზრის დათვალიერების შემდეგ რუსეთის სოფლის მეურნეთა დელეგატები ჰილდჰოლში წავიდნენ, სადაც ბაზრის უმთავრესმა კომიტეტმა საუზმე გაუმართათ. საუზმის დროს თავმჯდომარედ კომიტეტის პრეზიდენტი მაკაკი იყო. ჯერ ინგლისის მეფისა და რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო დალიეს და მერე თავმჯდომარემ „ჩვენი რუსი სტუმრების“ სადღეგრძელო წარმოსთქვა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რუსეთის იმპერატორი მთელ ევროპას უყვარსო, რადგანაც ნიადაგ მშვიდობიანობის საქმეს უწყობს ხელსაო. თავმჯდომარემ ნამეტნავად რუსეთის ფინანსთა მინისტრს ვიტეს გამოუცხადა დიდი მადლობა იმაზე, რომ ვიტემ კეთილი სიტყვით მოიხსენია ინგლისიო. „ჩვენ გვინდა, რომ რუსეთიდან ყოველნაირი სანოვაგე მოდიოდეს ინგლისში. რასაკვირველია, მოტანილი საქონელი საუკეთესო თვისებისა უნდა იყოს“. კრიუკოვმა ინგლისურ ენაზე უპასუხა: რუსები და ინგლისელები ერთმანეთთან უნდა მიდიოდ-მოდიოდნენ, რომ ორივე ერმა რუსეთი და ინგლისი კარგად გაიცნონო. დასასრულ კრიუკოვმა დამსწრე ინგლისელები მოსკოვში მიიწვია. დელეგატები პარასკევს საღამოს წავლენ. კრიუკოვიც იმათ გაჰყვება.

ლონდონი. რადგან სამხრეთ-აფრიკაში საქმეები გართულდა, გადაწყვეტილია იანვრის შუა რიცხვებში გაიგზავნოს იქ გვარდიის ბრიგადის 1000-ზედ მეტი კაცი.

ბელგრადი. მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფის ჯორჯევიჩის შვილმა ალექსანდრე ჯორჯევიჩმა ქუჩაში ხელით შეურაცხჰყო მინისტრად ნამყოფი პავლე მარინკოვიჩი, რომელმაც რამდენჯერმე საჯაროთ შეურაცხჰყო ვლადან ჯორჯევიჩი. მარინკოვიჩმა რევოლვერი ესროლა ჯორჯევიჩს, მაგრამ დააცილა. ტყვია მოხვდა ქუჩაში ამ დროს მიმავალს ბავშვს, რომელიც მძიმედ არის დაჭრილი.

ნიუ-იორკი. სენატს წარედგინა კანონპროექტი, რომლის ძალით ამერიკაში გადმოსახლების მსურველნი გამოცდილნი იქნებიან, რათა გამოარკვიონ მათი განათლების ხარისხი; დაწესებულ იქნება აგრეთვე ინსპექტორის თანამდებობა გადმოსახლებულთა პასპორტების გასასინჯავად; ამ საშუალებით განზრახვა აქვთ არ შემოუშვან ამერიკაში ანარხისტები.

ლონდონი. კრეიცინგერის ტყვედ წაყვანის შესახებ „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ: „2 დეკემბერს კრეიცინგერი 150 მეომარით გადვიდა ორანჟეს მდინარეზე და გაემართა კაპის ახალშენისაკენ; მას განზრახვა ჰქონდა რკინის გზის ლიანდაგზე გადასულიყო ჰანოვერისა და ტელბომის სადგურებ შუა. ინგლისელებმა საშინელი სროლა აუტეხეს; კრეიცინგერი და 5 ბური დასჭრეს და შემდეგ ტყვედ წაიყვანეს“.

კიევი. პოლიტეხნიკუმის შენობის კურთხევას გაზაფხულზე აპირებენ.

ვარშავა. ერთი თვის შეჩერების შემდეგ ისევ დაიწყო გამოცემა „ვარშავსკი გაზეთისა“, რომელიც 128 წელიწადია, რაც არსებობს.—აქაური ცემენტის ქარხნების პატრონები შუამდგომლობენ უცხოელ ცემენტზე ბაჟის მომატებას.

ტიუმენი. საშინელი ყინვა და ქარია.

იაკუტსკი. 11 სექტემბერს ჰერცი შეუდგა იმ მამონტის მიწიდან ამოღებას, რომელიც კოლიმის ოლქში იპოვეს; უკვე ამოთხარეს იმ მხეცის რამდენიმე ნაწილი, რომელიც დიდათ საინტერესო იქმნება მეცნიერთათვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ოპოზიცია მეცადინეობას არ ჰზოგავს, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს ბოლო მოუღოს, ბურების ქალებსა და ბავშვებს ტანჯვა შეუმსუბუქოს; გამოჩენილი ლიბერალები ყოველგვარ კრებებს ახდენენ და მთავრობის პოლიტიკას ჰკიცხვენ. ოპოზიციის წინამძღოლს კემპბელ-ბანერმანს 28 ნოემბერს დონფერმლაინში (შოტლანდიაში) კიდევ ულაპარაკნია მთავრობის პოლიტიკისა და სამხრეთ-აფრიკის საქმეებზე.

ოპოზიციის წინამძღოლს ჯერ გაუხსენებია, მთავრობამ იმ საბუთით დანიშნა შარშან საზოგადო არჩევნები, რომ ხალხმა თავისი აზრი უნდა გამოსთქვას, თუ რა წესები დავაწესოთ ახლად შემოერთებულ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებშიო. ორატორი შეეკითხა კრებას: 12 თვე გავიდა საზოგადო არჩევნების შემდეგ და განა ჩვენ ერთი ნაბიჯით მაინც წავიწიეთ წინ და დაუახლოვდით ზავის საქმეს, განა ამ 12 თვეში გადავწყვიტეთ, გამოვარკვიეთ, თუ რანაირად მოვაწყოთ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები? ბრიტანიის ერს ვისიმე დაპყრობა, ახალი ქვეყნების შეძენა, დიდების შოვნა და სისხლის ღვრა სრულებითაც არა სწყურიან, ჩვენ ერს მარტო ისა სწადიან, რომ ბურებთან სულგრძელობაზე დამყარებული საიმედო ზავი შეკრას. ორატორი დარწმუნდა ეხლა, რომ სოლსბერის სამინისტრო ამ საქმეს ვერ შეასრულებს. რასაც მთავრობა სჩადის და აკეთებს, იმას პოლიტიკა არას დროს არ დაერქმევა. ეს პოლიტიკა კი არაა, რადაც სულელური და თავხედური ჯიუტობაა. მთავრობა ბურების სრულ დამორჩილებას თხოულობს და თავისი სურვილის შესასრულებლად ქვეყანა აათხრა, ხალხი გაწყვიტა და ვინც გადარჩა, ისიც დაჩაგრა და შეავიწროვა. უბრალო კაცთ-მოყვარეობის ძალით ყოველი მეომარი ერი ომის დროსაც კი ადამიანურად უნდა ექცეოდეს და ყოველ უღვთობასა და ბოროტებას ერიდებოდეს. ჩვენი მთავრობა იმნაირ საშინელ ხერხს ხმარობდა ბურების დასაპყრობად, რომ სამხრეთ-აფრიკაში ინგლისელებსა და ბურებს შუა სამუდამოდ მტრობა ჩაინერგა და ზავის ჩამოგდება თითქმის შეუძლებელი გახდა. როცა მთავრობის ბოროტ პოლიტიკას ვგმობთ, ჩვენ გვაბრალებენ, ვითომ ჩვენ ჯარის კაცებსა ვგმობდეთ, ცილსა ვწამებდეთ, მაგრამ ეს—აშკარა სიცრუეა. ჯარის-კაცები მარტო თავიანთ უფროსების ბრძანებას ასრულებენ და—დარწმუნებული ვარ—ზიზღით ასრულებენ. ჩვენი ჯარის-კაცები კი არა, ჩვენი პოლიტიკოსები არიან გულქვავები, ჩვენ პოლიტიკოსებს არა აქვთ კაცთ-მოყვარეობა. ჩვენი პოლიტიკოსების იმპერიალიზმი შორს არ წაუვიდა ძველ დესპოტიზმსა და ტირანიას (მტარვალობას). რაც სხვა ქვეყნებშიაც კი—მაგალითად ოსმალეთში—გასაკიცხადაც გვეჯავრებოდა, ჩვენმა მთავრობამ სწორედ ის წესები დააწესა კაპის კოლონიაში! კონსტიტუციის წესები მოსპო და სამხედრო წესები შემოიღო. კაპის კოლონიაში ეხლა ნამდვილი სამხედრო ტერორი სუფევს. კრებისა, ლაპარაკისა და წერის თავისუფლება გაუქმებულია, ყველას უდანაშაულოდ, საქმის გაურჩევლად ციხეში სვამენ, გაზეთებს სდევნიან და ჰკრძალავენ, იქამდე მივიდნენ, რომ ამდენი ხნის აკრძალული ყოველი აზრისა და თავისუფლების დამღუპველი ცენზურაც კი დააწესეს კაპის კოლონიაში ხალხი კი არა, ვიღაცა ჯარის-კაცები და ჟანდარმები ბატონობენ, რასაც უნდა იმას სჩადიან. თავზარი დასცეს ყველას. ერთის სიტყვით რადა ოსმალეთის წესები და რადა კაპის კოლონიისა. ვიმეორებ, რაც სხვაგან გვძულდა და გვეზიზღებოდა, ჩვენმა მთავრობამ სწორედ ის მხეცური წესები შემოიღო კაპის კოლონიაში.

დასასრულ კემპბელ-ბანერმანმა მოითხოვა: აუცილებლად საჭიროა, სამხრეთ-აფრიკის უმაღლესი კომისარი ლორდი მილნერი გადააყენონ თავის თანამდებობიდან, რადგანაც ამ კაცის ჩაგონებით დააწესა ჩვენმა მთავრობამ ეს მხეცური ოსმალური წესებით. ორატორმა მოითხოვა აგრეთვე, ბურებთან ზავზე მოლაპარაკება გამართოს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში საფრანგეთზე სწერია: «კონსერვატორების გაზეთები სწერენ: პროფესორი ლაპიკის წერილიც კანონის წინააღმდეგია» და სხვ. თითონ ლაპიკის წერილი კი არაა მოხსენებული. არაა მოხსენებული აგრეთვე პროფესორ ერვეს ადვოკატის ბრიანის სიტყვაც. ბრიანის სიტყვა დარჩეს. პროფესორი ლაპიკის წერილს კი ორი სიტყვით გადმოგცემთ: ლაპიკი ერვეს გამოესარჩლა, ამიტომ კონსერვატორებიც მგლის ხროხასავით მიესივნენ ლაპიკს და მისი დასჯა მოითხოვეს: როგორ გაბედა და მუდმივი ჯარები ცუდად მოიხსენიაო.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 8 დეკემბერს, ტფილისის სასამართლო პალატა დაიწყებს განხილვას **ცნობილის საქმისას** ტფილისის საქალაქო გამგეობის ყოფილ წევრთა—ა. ა. ივანენკოსი, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და ე. ა. ვერმიშევისა და ახლანდელის წევრისა ე. ი. ხოსროევის, რომელთ ბრალდებათ სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა. დაბარებულია მრავალი მოწმე; საქმე, როგორც ჰფიქრობენ, ერთ კვირას გასტანს. სასამართლოს დარბაზში შესვლა ბილეთებით შეიძლება.

✦ დღეს, 8 დეკემბერს, ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში დაიწყება ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** სხვა საქმეთა შორის კრებამ უნდა განიხილოს კომისიის დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული.

✦ კვირას, 9 დეკემბერს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება,** რათა განიხილონ ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი წლისა.

✦ ხვალ, 9 დეკემბერს ბ. მთავარ-მართებლის ნებართვით, მთავარმართებლის სასახლეში მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ბ. **მედვედევი გამოაცხადებს ჯილდოებს,** რომლებიც მიეხაჯათ ექსპონენტებს და სხვათა გამოფენის გამო.

✦ 6 დეკემბერს, **ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს,** მთავარმართებელმა თავის სასახლეში სადილი გამართა, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, გენერალ-ადიუტანტი თ. ამილახვარი, ინფანტერიის გენერალი ზუზემანი და გენერლობა, აგრეთვე მრავალი საერო პირნი.

✦ ქალაქის თავის მოადგილის განკარგულებით, საბჭოს ერთს უახლოვეს სხდომაზე შეიტანენ მოხსენებას ქალაქისგან აღძრულ შუამდგომლობის გარემოებაზე იმის შესახებ, რომ **ტფილისში პოლიტეხნიკუმი** დაარსდეს.

✦ ხვალ, 9 დეკემბერს, აკურთხებენ **ერევნის გზას** და პირველ მატარებელს გაუშვებენ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მმართველობას, რომ დააჩქარონ პასუხი სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ხოთხოვნილებაზე შესახებ დაბალი და საშუალო **ტეხნიკურ სასწავლებლების გახსნისა ტფილისში.**

✦ როგორც შევიტყვეთ, აგრონომი ფირალოვი შეუდგა კავკასიის **შინაურ მრეწველობის ნაწარმოებთა კოლლექციის** შედგენას, რომელსაც გაგზავნის მომავალ წელს პეტერბურგში განზრახულ სრულიად რუსეთის შინაურ-მრეწველობის გამოფენაზე.

✦ პეტერბურგში შინაურ-მრეწველობის გამოფენის გამართვის დროს მოხდება საზოგადო კრება **რუსეთის სახაზო მრეწველობის წარმომადგენლებისა;** ამ კრებას, სხვათა შორის, დაესწრებიან კავკასიის სახაზო მრეწველობის წარმომადგენელნიც.

✦ თიანეთიდან გვწერენ, რომ იქ ამ ქამათ გავრცელებულია ყელ-ჭირვება და ქუნთრუშა. თუმცა საგრძნობელ ზარალს არ იძლევა, მაგრამ ხალხს ძალიან ეშინიან «ბატონებისა». ჯერ-ჯერობით არავითარი ღონე არაა ამ სენის საწინააღმდეგოთ მიღებული.

✦ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ იქ 22 დეკემბერს ერთი **უბედურება მოხდა.** ს. ბირკიანში მცხოვრებელმა საბა ქელეხიძემ ხანჯლით მოჰკლა ომალო-პანკისის მამასახლისი ლევან ფარეულიძე. გამოძიება სწარმოებს.

✦ ამ დღეებში ნათქვამი გვქონდა, რომ იოსებ სერედენკო, ციხის ზედამხედველი, **ცოცხალი ადმართზე მოუკლავთ.** ამ საქმის გარემოება ასე ყოფილა: სერედენკო ცხოვრობდა ხოჯივანქის სასაფლაოს ახლო. აღნიშნულს დღეს გამოსულა სახლიდან საღამოზე, მას თან წამოჰყოლია მისივე მეზობელი ოგლობინი, რომელიც ზაფხულში გამოფენაზე პოლიციის მდაბალ მოხელედ

იყო. ამათ შეუხვიეს ავლაბრის ერთ დუქანში, დაიწყეს სმა. სმის დროს ოგლობინი ახირდა და ჩხუბი დაუწყო მედუქნეს. მედუქნემაც აიღო და დუქნიდან გამოაგდო. დარჩა მარტო სერედენკო და განაგრძო სმა. როგორ გამოვიდა ის დუქნიდან და ან საით წავიდა, არავინ არ იცის, მხოლოდ მიმავალ მეეტლეს დაენახა, რომ ციციანთ აღმართზე კაცი გდია. რადგანაც ეს კაცი მეეტლეს მთვრალი ჰგონებოდა, წასულიყო და პოლიციისთვის შეეტყობინებია. პოლიცია მოვიდა და ნახა, რომ სერედენკო იყო მოკლული, ექვსი ჰრილობა ჰქონდა, ზურგში, გვერდებში და მუცელში. მკვდარი საავადმყოფოში წაიღეს. ბოროტ-მოქმედება გამოურკვეველია ჯერ-ჯერობით, მხოლოდ გაცარცვის მიზნით არ არის მოკლული, რადგანაც სერედენკოს ფული სულ არა ჰქონია თანა. მკვლელს დაეძებენ. ოგლობინი დატუსაღებულია.

◆ 6 დეკემბერს, ქალაქის სასწავლებლების ზედამხედველ გამგეთა თანადასწრებით, სხდომა ჰქონდა ქალაქის სკოლების გამგე-კომისიას, რომელსაც განსახილველად ჰქონდა, სხვათა შორის, საკითხი იმის შესახებ, თუ **მომავალ დღესასწაულების** დროს როგორი გონივრული გასართობები გამართონ ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის. როგორც მკითხველებმა იციან, შარშან ქალაქის საბჭოს დადგენილებით. ყოველ წლობით უნდა გადადებულ იქმნეს ქალაქის საშუალებიდან 1500 მან. სხდომაზე გასართობების მოწყობის შესახებ სხვა-და-სხვა მოსაზრებანი გამოითქვა; ზოგნი ამბობდნენ, რომ გასართობები გაიმართოს შარშანდელისებურად, სახელდობრ სახაზინო თეატრში გამართონ „შობის ხე“ და საბავშვო წარმოდგენა; ზოგნი ამას წინააღმდეგნი გაუხდნენ და ამბობდნენ, რომ ბევრად უმჯობესი იქნება, თითოეულ სკოლას მიეცეს საშუალება თავისთვის გამართოს გასართობებიო. სასწავლებელთა კომისიამ მიიღო ეს უკანასკნელი მოსაზრება და გარდასწყვიტა: გადადებულ იქნეს 1500 მანეთიდან 275 მან. ქალაქის სკოლისათვის სურათებიან ფარნის შესაძენად, ხოლო დანარჩენი ფული ქალაქის სკოლებში გასართობების მოსაწყობად ამნაირად იქმნეს განაწილებული: ას-ასი მანეთი მიეცეთ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელსა და დედათა საპროფესიონალო სკოლას; იმ სკოლებს, სადაც სამი განყოფილებაა, მიეცეს 60 მ., სადაც ორი—40 მან. და სადაც ერთი განყოფილება—25 მ. კომისია ამ დადგენილებას ამ დღეებში წარუდგენს დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობას.

◆ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ქალაქის მმართველობისაგან შემუშავებული **დადგენილება ბაზრებში წეს-რიგის შესახებ**, საჭიროდ სცნო ზოგიერთი ცვლილება მოხდეს ამ დადგენილებაში და ამიტომ დაუბრუნა ქალაქის საბჭოს, რომ ხელ ახლად შეიმუშავონ ეს დადგენილებანი.

◆ გუშინდელ სხდომაზე ქალაქის მმართველობისა გაარჩიეს მოხსენება **ავჭალის მიწის წყლის** სიავ-კარგეზე და გამოკვლევის შედეგი გაუგზავნეს ქალაქის სანიტარულ საექიმო რჩევას მისი დასკვნის შესატყობლად.

◆ ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასსის მმართველობამ დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ მათ **ასესხოს ქალაქის თანხიდან** 3,500 მან., რადგანაც კასსა სულ ცარიელია, და აგრეთვე აცნობოს საბჭოს, რომ კასსას არამც თუ არ შეუძლიან წინად წაღებული 2,000 მან. დაუბრუნოს, ეხლა ისიც კი უჭირთ, რომ კუთვნილი ფული დაუბრუნონ იმათ, ვინც გავიდა და კასსას თავი დაანება.

◆ ქალაქში ჩამოვიდა სამხედრო სამინისტროს მოხელე გენერალი **ტურბინი**.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ბელოგორიდან გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ: „სადგურის უფროსმა ბ. **შიმკევიჩმა სრულიად უმიზეზოდ შეურაცხჰყო ხარაგაულის სკოლის მასწავლებელი** გ., რომელიც მეისრეებს გააყვანინა სადგურის შენობიდან და ამასთანავე რიგიანად შეამკო ლანძღვა-გინებით. ერთად ერთი მიზეზი ამგვარი თავხედური საქციელისა ბ. შიმკევიჩისა ის იყო, რომ მასწავლებელი შევიდა ტელეგრაფის კანტორაში, რათა წაეღო თავისი გამოწერილი გაზეთები. ამ ამბის გამო ოქმი შეადგინეს და გადასცეს, ვისაც ჯერ არს“.

◆ 5 დეკემბერს ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს მოსამსახურემ გრიგოლ სოკოლცევმა, რომელიც კეროსინის ლამფას „პრიმუს“ ანთებდა, აფეთქებულის კეროსინით დაიდაგა მთელი ტანი.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ალიატიდან იტყობინებიან, რომ 6 დეკემბერს, როდესაც სადგურზე შემოდიოდა საქონლის მატარებელი № 143, შეცდომით გადაგდებული ისრის გამო ექვსი ვაგონი—ქვაბები ჩამოცვივდა რელსებიდან, ამათგან ხუთი უფრო ნაკლებად დაზიანდა, ერთი კი შესამჩნევად. გზა ცოტათი არის დაზიანებული.

◆ 431 ვერსის გზის ასაქცევიდან იტყობინებიან, რომ 5 დეკემბერს მანევრების დროს ვაგონებ ქვეშ მოჰყვა უმცროსი კანდუქტორი თევდორე ტკაჩოვი, რომელსაც მარჯვენა ფეხის ქუსლი დაუშავდა.

ქუთაისის ახალი ამბები

⁓ ოთხშაბათს, 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში მოვიდა ახალი გუბერნატორი ბ. სმაგინი და გაეცნო ქალაქის წარმომადგენლებს. ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე მიეგება მას მოკლე სიტყვით: ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელნი დიდის იმედით უცდიდა თქვენს მობძანებასო, მიახსენა ქალაქის თავმა. თუ საზოგადოების დახმარება ხელის გაწყობა საჭირო დარჩა რომელიმე საქმეში, დარწმუნებული იყავით, რომ ყველანი დიდის სიამოვნებით და მონდომებით შეასრულებენ თქვენს მონდობილებასო.— გუბერნატორმა უპასუხა ქალაქის მოურავს, რომ ის მთელი თავის ძალ-ღონით მზად არის ემსახუროს მთელი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა საჭიროებას და თავის მოქმედებაში ეცდება ერთნაირად მოეპყრას ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. თუ რამე სამძიმო საქმე დამირჩა გასარჩევად, სრული იმედი მაქვს, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები დამეხმარებიან და ხელს გამიწყობენ ჩემს სამძიმო მოვალეობის ასრულებაშიო. შემდეგ გუბერნატორმა თითოეულად ჩამოიარა ხმოსნები და ყველას სათითაოდ გაეცნო.

⁓ ჩვენ გვთხოვენ მოვაქციოთ სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ყურადღება რუსეთის შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენაზე, რომელიც პეტერბურგში იმართება მომავალ გაზაფხულზე. მეტად სასურველი და სასარგებლოა—კარგი და ბევრი ნიმუშები და ნაწარმოები გაიგზავნოს ქუთაისის გუბერნიიდან ამ გამოფენაზე და საჭიროა განყოფილებამ ითავოს ეგ საქმეო.

⁓ ამას წინად ქუთაისის ოლქის სასამართლომ ქუთაისის მაზრის მცხოვრებთ ნესტორ და კირილე მდვალიშვილების, ისააკ მდვალიშვილის მოკვლისა და გაცარცვისათვის, მიუსაჯა ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ნესტორს 10 წლით, ხოლო კირილეს 6 წლითა და 8 თვით კატორგაში გაგზავნა. ტფილისის სასამართლო პალატამ 4 დეკემბერს გაარჩია მდვალიშვილების საჩივარი, დამნაშავედ იცნო ისინი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

რუსეთის ქრონიკა

∝ რათა ხელი შეუწყონ პირველ დაწყებით სახალხო სკოლების მატერიალურ კეთილდღეობას, სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა შეიმუშავა განსაკუთრებული დადგენილება ამ სკოლების სამზრუნველოებზე. სამზრუნველოებს შეადგენენ: სკოლის მზრუნველი, ყველა მისი მასწავლებლები და თითო წარმომადგენელი უწყებებისაგან, დაწესებულებათაგან, საზოგადოებისაგან და იმ პირთა, რომელნიც მონაწილენი არიან სკოლის შენახვაში. სამზრუნველოებს დაევალებათ სკოლის დაკმაყოფილება ქვემოდ დასახელებულ საჭიროებათა: გაუმჯობესობასკოლის სადგომისა და მისი მოწყობა; ღამის თავშესაფარის მოწყობა და ჩასაჯდომების მოპოება იმ ბავშვებისათვის, რომელნიც სკოლაზე შორსა სცხოვრობენ; საჭმლისა და ტანთ საცმელის მოპოვება ღარიბი შეგირდებისათვის; საექიმო დახმარების აღმოჩენა შეგირდებისათვის; სკოლის დახმარება წიგნებითა და სახელმძღვანელობით, უკეთუ საჭიროება მოითხოვს; საეკლესიო ხოროს დაარსება სკოლაში მოსწავლე ბავშვებისაგან, სასარგებლო სეირნობის და გასართობების შემოღება და სხ. ბაღის გაშენება სკოლასთან, ბოსტნებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშაობა; აგრეთვე ხელოსნობა და ხელ-საქმე. სამზრუნველოების თანხას შეადგენენ: სამუდამო დახმარება და ერთხანობითი შემოწირულებანი, აგრეთვე შემოსავალი სამზრუნველოსაგან გამართულის საზოგადო კითხვებიდან, წარმოდგენებიდან და სხვა., ამასთანავე ყულაბებით ფულის შეკრება და სხვა შემთხვევითი შემოწირულებანი. სამზრუნველო მართავს არა ნაკლებ ერთის კრებისა თვეში („ნოვ. ვრემ“.).

∝ უკანასკნელ დროს რკინის გზებზე ძალიან გახშირდა მგზავრების ბარგის პარვა საბარგო ვაგონიდან. საგულისხმიერო აქ ის არის, რომ ქურდები გახსნიან მგზავრის ბარგს, ამოლაგებენ, რაც უფრო საფასური ნივთებია, შემდეგ ისევე შეჰკრავენ, როგორც იყო, ასე რომ ბარგის მიღების დროს პატრონს სრულიად ფიქრში არ მოუვა, რომ იმის ბარგი გაქექილია, რადგანაც, როგორც გარეგნობით, ისე წონით ბარგი ხელ-უხლებსა ჰგავს. ამ გვარად ბარგის მომპარავების აღმოჩენა შეუძლებელი ხდება, და ქურდები დაუსჯელი რჩებიან. რომ განიდევნოს ამისთანა არა სასურველი მოვლენანი, გზათა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა წინადადება მისცეს სახელმწიფო რკინის გზების უფროსებს და კერძო გზათა მმართველებს, რომ ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქციონ, ბარგის მეთვალყურეთ თვალი ადევნონ, რადგანაც შესაძლებელია, რომ ისინიც ურევია ამ ქურდობაში („ნოვ. ვრემ“.).

პრესსა

სემინარიელების სურვილი—უთუოდ უნივერსიტეტში შევიდნენ და თავიდან აიცდინონ მღვდლობა—ძალიან აკვირვებს „ცერკოვნი ვესტნიკ“-ს.

«მე-70 წლებშიო, სწერს გაზეთი, როდესაც სემინარიელებისთვის გაიღო უნივერსიტეტის კარები, იმდენმა ახალგაზდობამ დასტოვა სასულიერო წოდება, რომ მთავრობა იძულებული შეიქმნა ისევ აეკრძალა მათთვის უნივერსიტეტში სწავლის ნება. ამ ჟამად იგივე განმეორდა: სემინარიელები კვლავ მიაწყდნენ უნივერსიტეტებს, თუმცა უმთავრესი უნივერსიტეტები ჯერაც დაკეტილია მათთვის. ბევრ სემინარიიდან პირველი ხარისხის მოწაფენი სრულიად გადვიდენ უნივერსიტეტში, ხოლო აკადემიაში სულ ცოტა მიდის, ასე რომ ზოგიერთ ეპარქიებში ველარ შოულობენ ზედამხედველებს სასულიერო სასწავლებლისათვის. გადაჭარბება არ იქნება ვთქვათ, რომ საეპარქიო სამსახურში რჩებიან მხოლოდ ის სემინარიელები, რომელთაც უკიდურესი სიღარიბე ხელს უშლის და უნივერსიტეტში წასვლის შეძლებას არ აძლევს.. ასეთი სამწუხარო მოვლენა, თქმა არ უნდა, მეტად ავნებს რუსეთის სასულიერო საქმეს და წოდებას“.

ეს მოსაზრება მოჰყავს გაზეთ „ბირჟ. ვედომ“-ს და შენიშნავს, რომ აქ სამწუხარო არაფერი არისო.

„რატომ უნდა შევაწუხოს სემინარიელების გადასვლამ უნივერსიტეტებში?—ჰკითხულობს ხსენებული გაზეთი. მათ არავისთვის და არაფრისთვის არ უღალატნიათ; ისინი იძულებულნი იყვნენ შესულიყვნენ სემინარიებში და არა გიმნაზიებში. ღვთის მსახურებისთვის საჭიროა გულწრფელი მიდრეკილება და მთელს არსებაში გამჯდარი სურვილი ქრისტეს მსახურებას შესწიროს თავი; ხოლო სემინარიაში სწავლის მიღება აქ რას უშველის?! თუ ადამიანს ასეთი მიდრეკილება და სურვილი არა აქვს, მან უთუოდ უნდა დაანებოს თავი მღვდლობას: არც ღვთის, არც ხალხის მოტყუება არ შეიძლება. ამრიგად მწუხარება-კი არ გვმართებს, არამედ სიხარული იმის გამო, რომ სემინარიელებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ გზა: ვინც მზად არის ნამდვილ ღვთის-მსახურებას შესწიროს თავი თვისი, ის მღვდლად წავა, ვინცარა და საერო გზას ირჩევს და იქ მოუტანს ქვეყანას სარგებლობას“.

თეატრი

ქართული თეატრი

«პატიოსნება» კომედია 4 მოქ ზუდერმანისა და «ადვოკატთან», კომედია 1 მოქ.

ზუდერმანის «პატიოსნებას» მეორედ სდგამენ ჩვენ სცენაზე ამ სეზონში. საინტერესო გამეორებულ წარმოდგენაში ის იყო, რომ რობერტ ხეინეკეს როლს მესხიშვილი ასრულებდა და ალმას როლს ტასო აბაშიძე. მესხიშვილი, რასაკვირველია, ცუდათ არ შეასრულებდა ამ როლს, მაგრამ ჩვენ მეტს მოველოდით—თუ არ ძლიერ მომენტების დროს მესხიშვილის თამაშს რაღაც უგულობა ეტყობოდა, მას ჩვეულებრივი ცეცხლი აკლდა. ერთ ძლიერი მომენტიც მეტად გადაჭარბებული მოუვიდა ნიჭიერ მსახიობ—ეს ის მომენტია, როცა რობერტი მიხვდება, რომ ალმას გამობრუნების იმედი აღარ არის: მესხიშვილმა მეტად არა ბუნებრივი პოზა მიიღო თავის აღშფოთებისა და მწუხარების გამოსახატავად—რამდენიმე წამი ისე იდგა ხელებ გაშვერილი და უკან გადაზნექილი, რომ მაყურებელი მოელოდა აი აგერ დაეცემა და აი აგერო. სამაგიეროდ უკანასკნელი მონოლოგი რობერტისა საუცხოვოდ გამოუვიდა და ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა საზოგადოებაზე. ტასო აბაშიძეს სრულებით ვერ გაუგია ალმას როლი.—ალმა კაფეშანტანის მომღერალი როდია, იგი ბავშვია, ყოველის უცოდინარი; გარემოებას იგი გაურყვნია, მაგრამ ეს მას არ ესმის და გარყვნილობაშიაც სრულებით ბავშურად იქცევა და სჯის. ალმას მდგომარეობის მთელი დრამატიზმიც ეს არის. ტასო აბაშიძე კი ხუთშაბათის წარმოდგენაში დახელოვნებული არშიყი და მოქეიფე ქალი იყო. ამიტომაც მაყურებელი მუდამ სიყალბეს ჰგრძნობდა და არ ესმოდა, თუ რობერტი როგორ ვერ მიმხვდარიყო თავის დის ბუნებას და მას კიდევ რაღასიც იმედი ჰქონდა მისი გამობრუნებისა. ლეჟავას ალმა ბევრად უფრო ახლო იყო ზუდერმანის ალმასთან.

ყოვლად შეუფერებელნი იყვნენ აგრეთვე სარჯველაძეც და აწყურელიც. სარჯველაძემ ამასთან რაღაც გადაჭარბებული თავის ქნევა იცის; ეს ნაკლი მან უთუოდ უნდა მოიშოროს. აწყურელი სწორედ შესაბრალისი სანახავი იყო გრძელ რედინგოტში, განსაკუთრებით მათირიშვილის გვერდით. მობენეფისე ამ პიესის პირველ წარმოდგენაზე უკეთესი იყო, ვიდრე ეხლა. გურჩევთ არტისტ ქალს ერთი ნაკლი მოიშოროს თავიდან: მეტ წილად მისი ლაპარაკი არ ისმის პირველ რიგებშიც კი და ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია მსახიობისათვის.

ყოვლად შეუფერებელი აგუსტა იყო კაკთაძის ქალიც. წინად გარეულმა ითამაშა ეს როლი და კარგადაც შეასრულა იგი.

«ადვოკატთან» ჩვეულებრივ მხიარულად და ცოცხლად ჩაიარა.

თეატრის დარბაზი სავსე იყო. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

რეცენზენტი.

P. S. გამგეობის საყურადღებოდ: ისევ დაიწყო უწესობა მაყურებელთა შორის—ბევრი სხვის სკამებზე ჯდება და დარბაზის შემოსავალ-გასავალი. ისევ გაიჭედა ფეხზე მდგომ მაყურებლებით საჭიროა შესაფერ დონის-ძიებათა მიღება.

სტუდენტების საღამო იურიევში

როგორც იქმნა, იურიევის ქართველ სტუდენტებს აუსრულდა დიდი-ხნის სურვილი—27 ნოემბერს ქართული საღამო გავმართეთ. ეს საღამო აქ რიგით მეორეა. საზოგადოება დიდის ინტერესით და სიხარულით მოელოდა იმ დღეს, როდესაც ის, მისის სიტყვით, დაინახავდა ქართველებს ნამდვილ ქართულ ტანისამოსში და გაიგონებდა ქართულ სიმღერებს. ჩვენც თავი არ დავიზოგეთ და, რაც კი შეგვეძლო, შევეცადეთ საზოგადოების მოლოდინი კეთილად შეგვესრულებინა; საღამოსთვის რომ ნამდვილი ქართული შნო და იერი მიგვეცა—შევაკერვინეთ აქ რამოდენიმე ხელი ქულაჯა, მოვიწვიეთ სხვა-და-სხვა მომღერალი ქალები და ვთხოვეთ ბ-ნ მ. ბალანჩივაძეს დახმარება. მანაც ჩვენი თხოვნა ჩვეულებრივის სიხარულით მიიღო, შრომას და ხარჯს არ მოერიდა და თავის ხელმძღვანელობით დაგვამზადებინა სიმღერები. ზალა, სადაც საღამო იმართებოდა, მშვენივრათ მორთეთ ხალებით, ჩვენი მწერლების და მოღვაწეების სურათებით და სხვა-და-სხვა ქართულის იარაღებით და ნივთებით. ბუფეტი, სადაც გაკეთებული იყო ორი შადრევანი, ერთიდან სჩქეფდა ღვინო და მეორიდან—ხელოვნური წყლები, შემკობილი იყო მცენარებით და ყვავილებით; იქვე იდგა ორი ნოხების კარავი, მათში ისყიდებოდა ღვინო და სხვა-და სხვა საჭმელები. თვითონ «საღამო» ოთხი განყოფილებიდან შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგებოდა. პირველ განყოფილებათ იყო მესამე მოქმედება, «პატარა კახიდან.», რადგან აქ ქართული ენა კი არა, რუსულიც კარგად არავის ესმის, ამიტომ, რომ საზოგადოება ტყვილა არ დაგვედადა, შევცვალეთ ეს მოქმედება უფრო სურათი გამოსულიყო—მუშები თოხებით ყანაში და მათი მუშური მართლაც საუცხოვო გამოვიდა. მეორე განყოფილებიდან მეოთხემდე სულ სიმღერები იყო. სიმღერებში საპატიო ადგილი ეკავა ნაწყვეტებს ზ. მ. ბალანჩივაძის ოპერა «თამარ ცბიერიდან»; მეოთხე განყოფილება ცოცხალი სურათებიდან შესდგებოდა. მაგ. შოთასგან ვეფხვის ტყაოსნის მირთმევა თამარისადმი და ქართული დხინი «ლეკურით, კინტოურით» (ცეკვა) და მრავალჟამიერით. სიმღერებმაც და კანსაკუთრებით ცოცხალმა სურათებმა ხალხზე დიდი შთაბეჭდილება იქონიეს, ტაშის ცემას და ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს ცეკვა დაიწყო, სადაც უმთავრესი ყურადღება ისევ «ლეკურს» ჰქონდა მიქცეული. ლეკურში თავის მშვენიერი, მოხდენილი, გრაციით და სიცოცხლით სავსე ცეკვით თავი ისახელა ქ-ნ ელისაბედ პ. მაჭავარიანმა—ანთაძისამ. ხალხი მოცეკვარის ცქერით ვერ ძღებოდა და რამდენჯერმე სთხოვდა კიდევ და კიდევ მეცეკვნა. საზოგადოდ საღამომ წარჩინებულად და მეტის მეტ მხიარულად ჩაიარა. საზოგადოება ერთობ ნასიამოვნები დარჩა და დილის ექვს საათზე კმაყოფილი შინ დაბრუნდა. შემოსავალი ხარჯებს დაფარავს და ისე მაინც და მაინც ბევრი არა დარჩება, თუ მხედველობაში მივიღებთ ტანისამოსებს და სხვა-და-სხვა ნივთებს, რომლებიც ამ საღამოს წყალობით იქმნენ მოზიდებული.

ბოლოს უნდა ვსთქვა, რომ დიდი მადლობის ღირსია ზ. მ. ბალანჩივაძე, რომ იგი საზოგადოთ ქართველი სტუდენტებისთვის თავს არ იზოგავს და ჩვენც ორჯელ—რიგაში გამართულ ქართულ საღამოში (27 ოქტომბერს) და ახლა აქ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა.

ევსევი ლოსაბერიძე.

პროვინცია

დ. ზესტაფონი. როგორც წინათ ვწერდით, ზესტაფონელებმა გამოიღვიძეს და სკოლის დაარსების საქმეს გულ-მხურვალეთ მოეკიდნენ უწინ თითონ მთავრობა იხვეწებოდა. დაარსეთ სასწავლებელი, შეძლება ხელს გიწყობსთო. ზესტაფონი დაბად გადააკეთეთ უფლებებს მოგცემთო და სხვა... მაგრამ ზესტაფონელები აინუნშიაც არ აგდებდნენ... ალბათ, გონათ სხვა დუქნებს დაასვარსვალებს და ჩვენ გადაგველაპარაკებო, ამ იმედით პირი დაფჩენილი ჰქონდათ... მაგრამ დღეს განა იმისთანა დროა, რომ სხვამ გასაზრდოვოს? დრო იცვალა.. ჩარხი წადმა შემოტრიალდა დ ზესტაფონელებმა თითონ დაუწყეს ხვეწნა მთავრობას: გვადირსეთ რამე და ფულით ნუ დაგვზოგავთო... ნუ იტყვით, თურმე გვიანდა ყოფილა. მთავრობა გულ გატეხილი იყო, ზესტაფონელებმა ნდობა დაჰკარგეს მთავრობის თვალში, რასაც მოჰყვა, განზრახვა, მაზრის სამმართველოს გადატანისა ჭიათურაში და სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება ხარაგაულში. მთავრობის ამნაირი აზრი ზესტაფონელებს ჭკუაში არ დაუჯდათ.. გარეშემო ცეცხლი მოიკიდეს, გაჯავრებულებმა ორი საათის განმავლობაში 7000 მან. შეჰკრიბეს სკოლის ასაშენებლად და მაზრის უფროსს თხოვნა მიართვეს, რომ ზესტაფონელებს სურვილი აქვთ სკოლა დაიარსონ და ხარჯსაც თითონ გამოიღებენო, მაგრამ უარი მიუღიათ. ზესტაფონელებს არ იამათ ამნაირი ამბავი. ომან იოსელიანმა თავს იდვა სკოლის დაარსება ზესტაფონში. ამ განზრახვით იგი ქუთაისში წავიდა და სთხოვა მზრუნველს, რომელიც დასთანხმდა და თითონვე მობძანდა ზესტაფონში ყრილობის მოსახდენათ. ყრილობას ბოქაულის თანაშემწე საყვარელიძეც დაესწრო და ყრილობამ დაადგინა: სახლი აშენოს სკოლისათვის 1200 მ. ღირებული და ყოველ წლივ იხადოს 1,500 მ. აქვე მოიხსენიოს, თუ საქარისა, კლდეეთის და შორაპნის საზოგადოებაც მოისურვებენ და ყოველ წლივ 400 მ. გადიხდიან, შემოვიერთოთ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ სიხარულით სურვილი გამოაცხადეს, თუმცა ზოგიერთა ვაჟბატონები ყოველ-ნაირად სცდილობდნენ ხელი შეეშალათ.

მომავალ ენკენისთვეს ზესტაფონში უკვე გახსნილი იქნება სამოქალაქო სასწავლებელი. ზესტაფონელები ვერ დაივიწყებენ ბატონ ომან იოსელიანის ამაგს; აგრეთვე ვერ დაივიწყებენ იმ ვაჟბატონის საქციელს, რომელიც ამ საქმის დაარსებას ხელს უშლიდა და უშლის დღესაც... ეს ერთი საქმე მოიშორეს და ახლა უფრო თავსატეხი საქმე აქვთ—ეს საქმე კი ზესტაფონის «პოსადათ» გადაკეთების საქმეა. ამაზე ბევრი მიხლა-მოხლა იყო, ბევრი რჩევა, ბევრი კომიტეტები და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთი ვექილი მაინც დავიყენოთ. ამ ჩინებულს აზრს მიემხრნენ ყველა და ამ ორი დღის წინად მოიწვიეს ქუთაისიდან ერთი ნაფიცი ვექილი, რომელსაც უკვე მოელაპარაკნენ და იმნაირ იკისრა საქმის სასურველად დაგვირგვინება. ზესტაფონელები ამ საქმის გასაკეთებლათ იხდიან 1000 მ. ერთი სიტყვით, ზესტაფონელები თავს აღარ ჰზოგავენ, რომ თავიანთ კეთილი სურვილი განახორციელონ, რასაც სიამოვნებით უნდა მივეგებოთ.

ლურბინდი.

ქ. ფოთი. კვირას, 2 დეკემბერს, კლუბის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა «ცხოვრება ბრძოლაა» დრამა 4 მოქმედებად ი. გულისაშვილისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, თუმცა მოსალოდნელი იყო უფრო მეტი უნდა დასწრებოდა, რადგანაც შემოსავალი მეტად «სიმპატიურ» მიზნისთვის იყო გადადებული. მართალია, საზოგადოთ დრამა მაყურებელს სწყინს, მეტადრე ჩვენ საზოგადოებას, მაგრამ მაინც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ახალგაზდობისთვის ის გარემოება, რომ ასე მწყობრად დრამა ითამაშეს, რომელიც ფოთის სცენაზე, ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან, არც ერთხელ არ დადგმულა. მოთამაშეთა ასე შეგნებულად როლის შესწავლა და შესაფერი აღსრულება ნამდვილი თავდებია იმის, რომ ეს ახალგაზდები მომავალში ფოთის საზოგადოებას უკეთეს წარმოდგენებს მასწვდენენ და გამოაღვიძებენ იმ საღათას ძილისაგან, რომელიც მას აწუხებს. ეხლა ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვაში, რომ თითოეულად გავარჩიოთ მოთამაშეთა სიავკარგე, ამას მომავალში ვიკისრებთ, მხოლოდ ეხლა ცალკე აღვნიშნავთ იმ ახალგაზდა ქალების თამაშს, რომელთაც პირველ ნაბიჯის გადადგმისთანავე დიდად მიიქციეს საზოგადოების ყურადღება თავისი მოხდენილის თამაშით. ამისათვის მომავალში იმედი გვაქვს ეს ახალგაზდა ქალები უფრო გაირჯებიან და სამსახურს გაუწევენ იმ წმინდა ტაძარს, როგორიც არის თეატრი, მით უმეტეს, რომ ზოგ მათგანს ცხადათ ეტყობა სცენის შემამკობელი ნიჭი, რომლითაც შეგნებულ საზოგადოების მეტ ყურადღებას დაიმსახურებს.

ი. კოხრეიძე.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ხლ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 დეკემბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში	45,92½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	244½ „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87¾ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	87⅜ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

განმარტება

საფუთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ტელეფონი № 741.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა· Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—64)

ტელეგ. ადრ.: Тифлисъ, „Фармацевтика.“

Открыта подписка на 1902 годъ

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ“

(XXII ГОДЪ ИЗДАНІЯ).

Въ 1902 году „КАСПІЙ“, въ Баку, ежедневно будетъ выходить по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтяннымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ.

По понедельникамъ и послѣ праздничнымъ днямъ будутъ разсылаться, по примѣру прошлыхъ лѣтъ, телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Баку: на годъ 7 руб., 11 м.—6 р. 50 к., 10 м.—6 р., 9 м.—5 р. 50 коп., 8 м.—5 р., 7 м.—4 р. 50 к., 6 м.—4 руб., 5 м.—3 руб. 50 к., 4 м.—3 р., 3 м.—2 руб. 50 к., 2 м.—2 руб., 1 м.—1 руб.

Съ перес. въ друг. города: на годъ 8 руб. 50 к., 11 м. 7 р. 50 к., 10 м. 7 руб. 9 м. 6 руб. 50 к., 8 м. 6 руб., 7 м. 5 руб. 50 к., 6 м. 5 руб., 5 м. 4 руб. 50 к., 4 м. 4 руб., 3 м. 3 руб., 2 м. 2 руб. 50 к., 1 м. 1 руб. 50 к.

За границу: на годъ 13 руб., на полгода 7 руб.

За перемѣну адреса просятъ высылать 5 семикопѣйчныхъ марокъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 к. иногородными подписчиками; затѣмъ 15 февраля—2 руб. и 15 марта—2 руб.

Иногородніе адресуютъ свои требованія въ г. Баку, въ редакцію газеты „КАСПІЙ“.

По примѣру прежнихъ лѣтъ лица, подписавшіяся теперь (безъ разсрочки) на годовое изданіе газ. „Каспій“ 1902 г., будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ г. Баку—въ конторѣ газеты (Николаевская улица, домъ Тагіева); въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хиддекеля; въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ—въ конторахъ т. д. Л. и Э. Метцль и К°, и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

(ვ 3—2) Редакторъ издатель А. М.-б. Топчибашевъ.

Изданія годъ ПЯТЫЙ — **Открыта подписка на 1902 годъ** — Изданія годъ ПЯТЫЙ

НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ

„Судебныя Драмы“

издаваемый въ Москвѣ подъ редакціей Л. Ѳ. СНЕГИРЕВОЙ

12 книгъ въ годъ съ пересылкой 4 руб.

Разсрочка только чрезъ контору: при подпискѣ 2 руб., къ 1-му апрѣлю 1 р. и къ 1 іюню 1 рубль.

Кромѣ замѣчательныхъ процессовъ, судебныхъ ошибокъ, процессовъ дня, біографій (будутъ продолжаться „Великіе адвокаты XIX в.“), авто-біографій, мемуаровъ, рѣчей ораторовъ, журналъ „Судебныя Драмы“ по дополненной программѣ будетъ помѣщать историческія изслѣдованія, очерки, разсказы, также статьи по антропологіи и соціологіи въ связи съ уголовнымъ правовѣдѣніемъ. Въ 1902 г. Редакція надѣется помѣстить въ приложеніи къ журналу трудъ покойнаго архимандрита о. Досиѳея „О богомерзкой и богопротивной скопческой ереси“, которую онъ могъ изучать и наблюдать во очію, такъ какъ подъ его начало въ то время ссылались въ Соловецкій монастырь и скопцы, которые, какъ видно изъ имѣющихся въ редакціи документовъ, продолжали и тамъ не только исповѣдовать, но укрѣплять и распространять свою ересь.

Подписная цѣна на журналъ остается прежняя 12 кн. въ годъ съ пересылкой 4 руб.

Въ 1901 г. между прочимъ напечатано: Фарисейскій пророкъ.—Тайны остроконечной башни.—Завѣщаніе герцога Бурбонскаго.—Ритуальные процессы: Убійство въ Коницѣ съ рисунками. Кровавое убійство въ Полнѣ (дѣло Гильснера).—Лютерическое дѣло Рѣчь Плевако.—Процессъ Вѣры Геловой.—Ла-Ронсьеръ съ рисунками.—Іезуиты (процессъ Жирара-Кадьеръ).—Процессы дня: Самойлова, Шалаевыхъ, Крюковскаго, Растоскуева, убійство Донберга, дѣло Блондеса, ограбленіе почты, дѣло Шатуновскаго и др. Рѣчи ораторовъ: Кн. Урусова, Плевако, Шубинскаго, Андреевскаго, Маклакова, Тесленко, двѣ рѣчи Ф. Дюпена.

Въ приложеніе: Дѣло о безпорядкахъ на Сормовскихъ заводахъ, Викула Морозова «Русскій провидансъ“ и „Маріупольскаго общества“.—Убійство Сарры Беккеръ (1-е и 2-е разбирательство).—Мемуары Дрейфуса.—Великіе адвокаты XIX в. (біографіи съ портретами).

Иногородные адресуютъ: Москва, Остоженка, д. Снегиревой.

ვ(. 3—3) Редакторъ-Издатель Л. Ѳ. СНЕГИРЕВЪ.

ГОДЪ XVIII. — **Открыта подписка на 1902 годъ** — ГОДЪ XVIII.

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой:		Безъ доставки и пересылки:	
На годъ	5 р. 50 к.	На годъ	4 р. 50 к.
„ полгода	3 „ — „	„ полгода	2 „ 50 „
„ 3 мѣсяца	1 „ 75 „	„ 3 мѣсяца	1 „ 50 „
„ 1 мѣсяцъ	— „ 60 „	„ 1 мѣсяцъ	— „ 50 „

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей

АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телефонъ № 36.

Пріемъ объявлеій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кавк.“; въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К°.

Издатель В. В. Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣевъ. (ვ. 3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.